საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030154274908222

№ 01-50/ო **02 / თებერვალი / 2022 წ.**

„სეზონური გრიპისა და COVID-19-ის შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და სწორი მართვის/რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის №01-150/ ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი 1. „სეზონური გრიპისა და COVID-19-ის შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და სწორი მართვის/ რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის №01-150/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. განისაზღვროს „მორიგე“ რეჟიმში მომუშავე დაწესებულებები (შემდგომ - ონლაინ კლინიკები):

ა) 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით დანართი N1-ის შესაბამისად;

ბ) 2022 წლის 1 თებერვლიდან დანართი N2-ის შესაბამისად.“.

2. ბრძანების მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ბრძანების პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაწესებულებების მიერ, ამ ბრძანებით განსაზღვრული გაწეული მომსახურების ღირებულების (მათ შორის, ჩართული სტუდენტების) ანაზღაურება განხორციელდეს „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის ასიგნებებიდან;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაწესებულებების მიერ, ამ ბრძანებით განსაზღვრული გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდეს „ახალი კორონავირუსული დაავადების - COVID-19-ის მართვა“ სახელმწიფო პროგრამის ასიგნებებიდან;“.

„5. მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება ბრძანების პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიმწოდებელი დაწესებულების ბრიგადების რაოდენობის მიხედვით, თითოეულ ბრიგადაზე (ბრიგადის შემადგენლობა განისაზღვრება დაწესებულების მიერ და მის შემადგენლობაში შედის ექიმი (დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის მქონე ნებისმიერი სუბიექტი, სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული სპეციალობისა და კომპეტენციის მიუხედავად), ასევე დაწესებულების საჭიროების შესაბამისად, ექიმი, ექთანი, ოპერატორი გადამისამართებული ზარების მართვის მიზნით და სტუდენტი) დღე-ღამეში - 120 (ას ოცი ლარი) ლარის ოდენობით;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიმწოდებელი დაწესებულების დაფინანსება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით. ამასთან, მომსახურების ანაზღაურების ერთეულს წარმოადგენს ბინაზე დისტანციურად მართული ერთი კოვიდ დადებითი პაციენტი და შეადგენს 7 ლარს (მ. შ. არანაკლებ 90%-ისა – სახელფასო ფონდი, 10% – ადმინისტრაციული ხარჯი).“.

3. ბრძანების 6^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6^1. ეპიდემიოლოგიური სიტუაციისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-დან ოჯახის ექიმთან გადამისამართებული ზარების რაოდენობის გათვალისწინებით, შესაძლებელია განხორციელდეს ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაწესებულებების ოპტიმიზაცია. ოპტიმიზაციას დაქვემდებარებული ონლაინ-კლინიკები ვალდებულნი არიან:

ა) სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-დან ოპტიმიზაციამდე მიღებული აქტიური შემთხვევები მართონ დასრულებამდე;

ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში უზრუნველყონ ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ რეჟიმზე გადასვლა.“.

4. ბრძანებას დაემატოს 6^3 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„6^3. ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაწესებულებები ვალდებულნი არიან 2022 წლის 1 თებერვლამდე სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-დან მიღებული აქტიური შემთხვევები მართონ დასრულებამდე.“.

5. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი N1 და დანართი N2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ზურაბ აზარაშვილი